ავტოდაზღვევა ფიქსირებული ლიმიტებით

სარჩევი

1. ამ დაზღვევის მოქმედების პრინციპი 2
2. ზოგადი ტერმინები და მათი განმარტებები 3
3. სექცია I - ავტომობილი 4
   3.1. I სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები 4
   3.2. დაფარული რისკი 4
   3.3. გამონაკლისები 5
   3.4. სადაზღვევო ანაზღაურება 5
4. სექცია II - პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე 8
   4.1. II სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები 8
   4.2. დაფარული რისკი 8
   4.3. გამონაკლისები 8
   4.4. სადაზღვევო ანაზღაურება 9
5. ზოგადი გამონაკლისების სექცია 10
6. ზოგადი დებულებების სექცია 11
   6.1. გონივრული სიფრთხილე 11
   6.2 პრემიის გადახდა 11
   6.3. დაზღვევის ხელშეკრულება 11
   6.4. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება 11
   6.5. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა 12
   6.6. დაზღვევის/პოლისის შეწყვეტა 12
   6.7. სადაზღვევო აქტი 12
   6.8. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 13
   6.9. სადაზღვევო გასაცემი 15
   6.10. უარი ზარალის ანაზღაურებაზე 15
   6.11. დავების განხილვის წესი 16
   6.12. კონფიდენციალურობა 16
   6.13. ინფორმაციის მიწოდება 17

1. ამ დაზღვევის მოქმედების პრინციპი

დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია დამზღვევსა და მზღვეველს შორის.

იმ პირობით, რომ დამზღვევი გადაუხდის მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებულ პრემიას და ამავე ხელშეკრულებაში მოყვანილი დებულებების, დათქმების, პირობებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით, მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს I და II სექციების პირობებით დაფარულ ზიანს, ამავე და სხვა სექციებში მითითებული წესითა და მოცულობით.

ამ დაზღვევის ფარგლებში მოქმედებს კომბინირებული დაფარვა წინასწარ ფიქსირებული ლიმიტებით, რომელიც მოიცავს I და II სექციებში წარმოდგენილ სადაზღვევო დაფარვებს.

წინამდებარე დაზღვევის პირობებს გააჩნიათ იურიდიული ძალა მხოლოდ ჩვენს მიერ გაცემულ პოლისთან ერთად.

2. ზოგადი ტერმინები და მათი განმარტებები

წინამდებარე პირობებსა და პოლისში ქვემოთ მოყვანილი ტერმინები გაიგება შემდეგი მნიშვნელობით:

მზღვეველი (ჩვენ) - სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

დამზღვევი (თქვენ) - პირი, ვისთანაც დაიდება დაზღვევის ხელშეკრულება - ხელშეკრულების მხარე;

დაზღვევის ხელშეკრულება - შეთანხმება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც არეგულირებს მის ფარგლებში წარმოქმნილი ჩვენი და თქვენი უფლება-მოვალეობებით განპირობებულ ურთიერთობებს და რომელიც შედგება წინამდებარე დაზღვევის პირობებისა და პოლისისაგან.

პოლისი - ჩვენს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ **დაზღვევის ხელშეკრულება** დაიდო და რომელშიც ასახულია დაფარული რისკი და დაზღვევის კერძო პირობები;

დაფარული ავტომობილი - ავტომობილი, რომელიც პოლისში მითითებულია როგორც დაფარული;

სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომლის შედეგადაც თქვენ განიცადეთ ზარალი, ხოლო ჩვენ წარმოგვექმნა ვალდებულება ავანაზღაუროთ ეს ზარალი დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

დაზღვევის პერიოდი - პოლისში მითითებული დროის შუალედი. სადაზღვევო შემთხვევად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ამ შუალედში მომხდარი შემთხვევა;

დაფარული ტერიტორია - პოლისში მითითებული ტერიტორია. სადაზღვევო შემთხვევად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ამ ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევა;

პრემია - სადაზღვევო შესატანი, რომელსაც თქვენ გვიხდით სადაზღვევო მომსახურების მიღების სანაცვლოდ;

ფრანშიზა/გამოსაქვითი - პოლისში მითითებული ფიქსირებული თანხა, რომელიც შემოღებულია ჩვენსა და თქვენს შორის რისკის გადანაწილების მიზნით:

- თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად თქვენ მიერ განცდილი ზარალი არ აღემატება აღნიშნულ თანხას, მაშინ ასეთ ზარალს მთლიანად ფარავთ თქვენ;
- სხვა შემთხვევაში, აღნიშნული თანხა გამოაკლდება განცდილი ზარალის ოდენობას;

სადაზღვევო ანაზღაურება - სადაზღვევო შემთხვევით თქვენთვის მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად განკუთვნილი თანხა, რომლის დადგენის წესი განისაზღვრება დაზღვევის ხელშეკრულებით;

სადაზღვევო გასაცემი - სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ჩვენს მიერ თქვენზე/მოსარგებლეზე გასაცემი თანხა, რომელიც მიიღება სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდიდან დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელების გამოკლებით;

I/II სექციის სადაზღვევო ლიმიტი - პოლისში მითითებული თანხა, რომლითაც შემოისაზღვრება I/II სექციის ფარგლებში დაფარულ ყველა სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ჯამური სადაზღვევო ანაზღაურება;

I/II სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტი - დაზღვევის პერიოდის ნებისმიერ მომენტში I/II სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტი უდრის უდიდესს შემდეგ ორ სიდიდეთა შორის:

- I/II სექციის სადაზღვევო ლიმიტი შემცირებული დაზღვევის პერიოდის განმავლობაში, დროის ამ მომენტამდე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურებების ჯამითა და ამავე შემთხვევებთან დაკავშირებით ევაკუატორით მომსახურებაზე ჯამურად გაწეული ხარჯით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  და

- ნული;

მოსარგებლე - პირი, რომელსაც თქვენ მიანიჭეთ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება;

დაფარული მძღოლი - პირი, რომელზეც თქვენი მოთხოვნით ვრცელდება სადაზღვევო დაფარვა;

გამომუშავებული პრემია - პრემიის ნაწილი, რომელიც დაზღვევის პერიოდის ყოველ მომენტში ისე შეეფარდება მთლიან პრემიას, როგორც დაზღვევის პერიოდის დასაწყისიდან ამ მომენტამდე განვლილი დრო - დაზღვევის პერიოდის სიგრძეს;

გამოუმუშავებელი პრემია - პრემიასა და გამომუშავებულ პრემიას შორის სხვაობა.

ვანდალიზმი - ამ დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმი ნიშნავს მესამე პირის მიერ დაფარული ავტომობილის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას.

3. სექცია I - ავტომობილი

3.1. I სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

3.1.1 ავტომობილის საბაზრო ღირებულება - დაფარული ავტომობილის მახასიათებლებთან (მარკა, მოდელი და სხვა) მაქსიმალურად მიახლოებული მახასიათებლების მქონე ავტომობილის ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე;

3.1.2. ორმაგი დაზღვევა - ჩვენს მიერ გაცემული პოლისით დაფარული ინტერესის იმავდროულად სხვა მზღვეველ(ებ)თან დაზღვევა;

3.1.3. აქსესუარები - ავტომობილის დეტალები, რომლებსაც მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია გააჩნიათ, მაგალითად: სამარკო ემბლემა და კანტები.

3.2. დაფარული რისკი

ამ სექციის პირობებით იფარება დაფარული ავტომობილის მიმართ დამზღვევის/ავტომობილის მესაკუთრის ქონებრივი ინტერესის შელახვის რისკი, რომელიც განპირობებულია დაფარული ავტომობილის დაზიანებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად.

3.3. გამონაკლისები

ზოგადი გამონაკლისების სექციაში მოყვანილ გამონაკლისებთან ერთად, წინამდებარე სექციით გათვალისწინებული დაფარვისთვის მოქმედებს დამატებითი გამონაკლისები, რომელთა მიხედვითაც არ ანაზღაურდება ზარალი გამოწვეული:

- დაფარული ავტომობილის გაუფასურებით მაშინაც კი, როდესაც გაუფასურება მოჰყვება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო განხორციელებულ შეკეთებას/აღდგენას;
- პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯებით;
- მხოლოდ საბურავების დაზიანებით, იმის მიუხედავად ეს დაზიანება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მოხდა თუ არა. ხოლო, თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, საბურავ(ებ)ის გარდა ავტომობილის სხვა ნაწილებიც იქნება დაზიანებული, მაშინ საბურავების დაზიანებაც ანაზღაურდება (ფრანშიზის გათვალისწინებით);
- რომელიმე ბრენდის/კომპანიის/მარკის ნიშნების, გაუმჯობესებული დეტალების/ შეფუთვის, დამატებითი კომპლექტაციის ან სხვა აქსესუარების დაზიანებით. ასეთი დაზიანებისას ანაზღაურდება სტანდარტული ნაწილის/დეტალის/აქსესუარის ღირებულება (მისი არსებობის შემთხვევაში);
- ნებისმიერი ქონებისათვის ზიანის მიყენებით, რომელიც წარმოადგენს დაფარული მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაფარული ავტომობილით ან დაფარულ ავტომობილზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
- დაფარული ავტომობილის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებით;
- დაფარული ავტომობილის ან მისი ნაწილების ქურდობით/ძარცვით/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით;
- დაფარული ავტომობილის დაზიანებით დაუდგენელი მესამე პირ(ებ)ის მიერ/დაუდგენელ ვითარებაში ან ვანდალიზმით;
- დაფარული ავტომობილის მინებისა და სარკეების დაზიანებით, თუ ეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით არ იქნება გამოწვეული;
- დაფარული ავტომობილის აფეთქებით ან აალებით, თუ ეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით არ იქნება გამოწვეული;
- დაფარული ავტომობილის წყლით დაზიანებით;
- დაფარული ავტომობილის დაზიანებით მასზე ნებისმიერი საგნის დაცემით.

3.4. სადაზღვევო ანაზღაურება

3.4.1. თუ დაფარული ავტომობილი ჩვენს მიერ მითითებულ შემკეთებელ პუნქტში იქნა გადაყვანილი, ჩვენ მოვახდენთ თქვენს მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურებას შემდეგი წესით.

ორმაგი დაზღვევის არარსებობის პირობებში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე გაუტოლდება უმცირესს შემდეგ ორ სიდიდეთა შორის:

- შემკეთებელი პუნქტის მიერ წარმოდგენილი მთლიანი ზარალის შეფასება შემცირებული
    - ჩვენს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ შეფასებული დაზიანებული ავტომობილის (თუ ის აღდგენას არ ექვემდებარება) ან ნაწილების ნარჩენი საბაზრო ღირებულებით და

- ფრანშიზის ოდენობით.

- სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტისათვის არსებული I სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტი შემცირებული ამ უკანასკნელ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ევაკუატორით მომსახურებაზე გაწეული ხარჯით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე გამოითვლება 3.4.6. პუნქტში მოყვანილი წესის მიხედვით.

შესაბამისი სადაზღვევო გასაცემის ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი განისაზღვრება ზოგადი დებულებების სექციაში.

3.4.2. თუ თქვენ არ გსურთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ შემკეთებელ პუნქტში ავტოტრანსპორტის გადაყვანა და იგი გადაყვანილი იქნება თქვენ მიერ შერჩეულ შემკეთებელ პუნქტში, თქვენ ვალდებული ხართ წარმოგვიდგინოთ ამ შემკეთებელი პუნქტის მიერ შედგენილი მთლიანი ზარალის შეფასება (ხარჯთაღრიცხვა, ანგარიშფაქტურა, ინვოისი). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად უნდა აღინიშნოს, რომ მზღვეველი განიხილავს და მხედველობაში მიიღებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი შემკეთებელი პუნქტის შეფასებას და ყოვლად დაუშვებელია დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენის დაწყება (მისი დაშლა, ნაწილების გამოცვლა და ა.შ.), მანამ, სანამ მას არ დაათვალიერებს მზღვეველის მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირი. მთლიანი ზარალის სიდიდის დადგენისას, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ მივიღოთ ასეთივე შეფასება ჩვენ მიერ შერჩეული შემკეთებელი პუნქტიდან და/ან ჩვენ მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირისგან და ვიხელმძღვანელოთ როგორც თქვენ მიერ წარმოდგენილი, ასევე ჩვენს მიერ მოპოვებული შეფასებებით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ და თქვენ ვერ შევთანხმდებით მთლიანი ზარალის საბოლოო მოცულობაზე, ზარალს შეაფასებს დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საექსპერტო დაწესებულება/ექსპერტი. ზარალის შეფასებისთვის გასაწევი ხარჯები გაიღება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება ჩვენი ინიციატივით, გასაწევ ხარჯებს დავფარავთ ჩვენ;

ბ) თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება თქვენი ინიციატივით, გასაწევ ხარჯებს დაფარავთ თქვენ;

გ) თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება ჩვენი და თქვენი ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, გასაწევი ხარჯები თანაბრად ნაწილდება ჩვენსა და თქვენ შორის.

მთლიანი ზარალის საბოლოო შეფასებაზე ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმების ამათუიმ გზით მიღწევის შემდეგ, ჩვენ მოვახდენთ თქვენს მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურებას შემდეგი წესით.

ორმაგი დაზღვევის არარსებობის პირობებში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე გაუტოლდება უმცირესს შემდეგ ორ სიდიდეთა შორის:

- ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმებული მთლიანი ზარალის შეფასება შემცირებული
  - ჩვენს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ შეფასებული დაზიანებული ავტომობილის (თუ ის აღდგენას არ ექვემდებარება) ან ნაწილების ნარჩენი საბაზრო ღირებულებით და
  - ფრანშიზის ოდენობით.
- სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტისათვის არსებული I სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტი შემცირებული ამ უკანასკნელ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ევაკუატორით მომსახურებაზე გაწეული ხარჯით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე გამოითვლება 3.4.6. პუნქტში მოყვანილი წესის მიხედვით.

შესაბამისი სადაზღვევო გასაცემის ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი განისაზღვრება ზოგადი დებულებების სექციაში.

3.4.3. თუ დაზიანებული სათადარიგო ნაწილის შეკეთება და მისი შემდგომი გამოყენება შესაძლებელია, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ აგინაზღაუროთ მისი შეკეთების ხარჯები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის შეკეთებას არ ექვემდებარება - აგინაზღაუროთ მეორადი მოხმარების სათადარიგო ნაწილის საბაზრო ფასი და დაყენების ხარჯები.

3.4.4. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაფარული ავტომობილი დაზიანდება და მიღებული დაზიანებების გამო ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, ჩვენ უზრუნველვყოფთ მის გადაყვანას შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე. ეს სერვისი გაწეული იქნება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების დროს და ყოველი სადაზღვევო შემთხვევისას - მხოლოდ ერთჯერადად (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული).

3.4.5. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ დაფარულ ავტომობილს დაუზიანდა საბურავის დისკი ისე, რომ დაზიანება ხელს არ უშლის ავტოტრანსპორტის უსაფრთხო ექსპლუატაციას, ჩვენ ავანაზღაურებთ საბურავის დისკის შეკეთების ხარჯებს, ხოლო სხვა შემთხვევაში - მის საბაზრო ღირებულებას.

3.4.6. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის წესი ორმაგი დაზღვევის პირობებში

თუ ჩვენს მიერ გაცემული პოლისით დაფარული ინტერესი თქვენ, იმავდროულად, სხვა მზღვეველ(ებ)თან დააზღვიეთ (ანუ, განახორციელეთ ორმაგი დაზღვევა), თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ, წერილობით, გვაცნობოთ ამის თაობაზე და შეგვატყობინოთ სხვა მზღვეველ(ებ)ის ვინაობა, შესაბამისი სადაზღვევო თანხები/ლიმიტები და დაფარული რისკები.

სრულ სადაზღვევო ლიმიტს ვუწოდებთ იმ სადაზღვევო ლიმიტების ჯამს, რომლებიც მითითებულია სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის მოქმედ ყველა დაზღვევის ხელშეკრულებაში (ჩვენთან დადებული ხელშეკრულების ჩათვლით), რომლებიც ფარავს ჩვენს მიერ გაცემული პოლისით დაფარულ ინტერესსა და თქვენს მიერ განცდილ ზარალს.

თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტში დაფიქსირდება ორმაგი დაზღვევა და თქვენს მიერ განცდილი ზარალი სხვა დაზღვევ(ებ)ის პირობებითაც ექვემდებარება ანაზღაურებას, 3.4.1. და 3.4.2. პუნქტების მიზნებისთვის სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე გამოითვლება შემდეგი წესით:

ამავე პუნქტებში, ორმაგი დაზღვევის არარსებობის პირობებში განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურება, შემცირდება I სექციის სადაზღვევო ლიმიტის სრულ სადაზღვევო ლიმიტთან შეფარდების პროპორციულად.

მაგალითი 3.4.6.1. I სექციის სადაზღვევო ლიმიტი უდრის 5,000 ლარს, ხოლო სრული სადაზღვევო ლიმიტი - 15,000 ლარს. ფრანშიზა უდრის 500 ლარს. ავტომობილი დაზიანდა და ზარალმა შეადგინა 2,000 ლარი.

ორმაგი დაზღვევა რომ არ ყოფილიყო, სადაზღვევო ანაზღაურება გაუტოლდებოდა 1,500 ლარს:

2,000 ლარი - 500 ლარი = 1,500 ლარი.

ორმაგი დაზღვევის გამო ეს სიდიდე შემცირდება 5,000-ის 15,000-თან შეფარდების (1/3-ის) პროპორციულად და სადაზღვევო ანაზღაურება ორმაგი დაზღვევის პირობებში გაუტოლდება

1,500 * 1/3 = 500 ლარს.

მაგალითი 3.4.6.2. I სექციის სადაზღვევო ლიმიტი უდრის 5,000 ლარს, ხოლო სრული სადაზღვევო ლიმიტი - 20,000 ლარს. ფრანშიზა უდრის 500 ლარს. ავტომობილი დაზიანდა და ზარალმა შეადგინა 7,000 ლარი.

ორმაგი დაზღვევა რომ არ ყოფილიყო, სადაზღვევო ანაზღაურება გაუტოლდებოდა 5,000 ლარს:

Min(5,000 ლარი, 7,000 ლარი - 500 ლარი) = 5,000 ლარი.

ორმაგი დაზღვევის გამო ეს სიდიდე შემცირდება 5,000-ის 20,000-თან შეფარდების (1/4-ის) პროპორციულად და სადაზღვევო ანაზღაურება ორმაგი დაზღვევის პირობებში გაუტოლდება

5,000 * 1/4 = 1,250 ლარს.

4. სექცია II - პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე

4.1. II სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

4.1.1. მესამე პირი - ამ დაზღვევის მიზნებისთვის მესამე პირად მიიჩნევა ნებისმიერი პირი გარდა დამზღვევისა, დაფარული მძღოლ(ებ)ისა და დაფარული ავტომობილის მგზავრებისა (მაშინაც, როცა ისინი სხდებიან ავტომობილში ან გადმოდიან ავტომობილიდან).

4.2. დაფარული რისკი

4.2.1. ამ სექციის პირობებით იფარება დამზღვევის/ავტომობილის მესაკუთრის/დაფარული მძღოლის მიერ ფინანსური ზარალის მიღების რისკი, რომელიც განპირობებულია დაფარული ავტომობილის მათ მიერ ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირების ჯანმრთელობისთვის და/ან ქონებისთვის ზიანის მიყენების გამო მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოქმნით.

4.3. გამონაკლისები

ზოგადი გამონაკლისების სექციაში მოყვანილ გამონაკლისებთან ერთად, წინამდებარე სექციით გათვალისწინებული დაფარვისთვის მოქმედებს დამატებითი გამონაკლისები, რომელთა მიხედვითაც არ ანაზღაურდება/არ დაიფარება:

- ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე თქვენს მიერ დაზარალებული პირ(ებ)ისათვის გადახდილი კომპენსაცია და/ან დაზარალებული პირ(ებ)ის წინაშე აღებული/აღიარებული პასუხისმგებლობა;
- დამზღვევის/დაფარული მძღოლის თანამშრომლ(ებ)ის ან იმ პიროვნებ(ებ)ის გარდაცვალება ან სხეულის დაზიანება, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს იმყოფებოდნენ მის სამსახურებრივ/შრომით დაქვემდებარებაში;

- დამზღვევის ან/და დაფარული მძღოლის ნათესავების გარდაცვალება ან მათი ჯანმრთელობისთვის ან/და ქონებისთვის მიყენებული ზიანი;
- მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ეს მოხდება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

4.4. სადაზღვევო ანაზღაურება

ჩვენსა და თქვენს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტისათვის არსებული II სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურებამ შეიძლება მოიცვას:

4.4.1. დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

4.4.2. მესამე პირ(ებ)ის მოთხოვნების სასამართლოს მიერ ან სასამართლოს გარეთ განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენასთან დაკავშირებული ხარჯები (II სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ აღნიშნული ხარჯების გაწევა წერილობით იყო ჩვენთან შეთანხმებული;

4.4.3. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაზარალებული პირ(ებ)ისათვის გადასახდელი კომპენსაცია. ამასთან, არანაირი ანაზღაურება არ მოხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც თქვენ ან და თქვენი წარმომადგენელი, საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავად სცნობთ სარჩელს ან მის ნაწილს ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

4.4.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის გამო გადასახდელი კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობით შეთანხმებულია ჩვენთან და, თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

4.4.5. მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაფარვისას, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით.

4.4.5.1. მესამე პირის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში კომპენსაცია მოიცავს:

ა) ხელფასს (შემოსავალს), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქნა;

ბ) დამატებით ხარჯებს, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური გადაადგილების საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯებს, თუ დადგენილია, რომ აღნიშნული საგნები თუ მომსახურება დაზარალებულს ნამდვილად ესაჭიროება და მას არა აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილს, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე

იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);

4.4.5.2. მესამე პირისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, კომპენსაცია მოიცავს:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენით ღირებულებას (ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით) ცვეთის გათვალისწინებით, რომელსაც აკლდება გამოყენებისთვის ვარგისი დარჩენილი დეტალების ღირებულება;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მის მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს.

4.4.6. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა აღემატება II სექციის ნარჩენ სადაზღვევო ლიმიტს, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისთვის გაუტოლდება მისთვის გამოთვლილ სადაზღვევო ანაზღაურებას შემცირებულს II სექციის ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტის ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობასთან შეფარდების პროპორციულად.

5. ზოგადი გამონაკლისების სექცია

ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისები მოქმედებს როგორც I , ასევე II სექციების დაფარვებისთვის.

მზღვეველი არ აანაზღაურებს არანაირ ზიანს, დანაკარგს თუ პასუხისმგებლობის წარმოქმნით გამოწვეულ ზარალს, რომელიც, პირდაპირ ან ირიბად, განპირობებულია ერთ-ერთით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ან რამენაირად უკავშირდება მას:

- ავტომობილის გამოყენება, პოლისში მითითებულის გარდა სხვა დანიშნულებით, მათ შორის, კომერციული დანიშნულებით (დისტრიბუცია, გაქირავება, მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა და ა.შ.). ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისის გაცემისას ან/და სადაზღვევო შემთხვევის მოხდენისას დაფარულ ავტომობილზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია, ამ დაზღვევის მიზნებისთვის ავტომატურად იგულისხმება, რომ ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით;
- ავტომობილის გამოყენება ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას, მიუხედავად იმისა ზარალი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით;
- დაფარული ავტომობილის ისეთ ტერიტორიაზე ყოფნა/ექსპლუატაცია, რომელიც არ წარმოადგენს გზას ან გზის მიმდებარე ტერიტორიას და ჩვეულებრივ არ გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის;
- ავტომობილის გამოყენება რბოლისთვის თუ სხვა ნებისმიერი სახის შეჯიბრისთვის;
- ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში მყოფი დაფარული ავტომობილის (მუხრუჭდაზიანებულის ჩათვლით) ექსპლუატაცია;
- ავტომობილის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე, ასევე, სამშენებლო ტერიტორიაზე/ სამშენებლო მოედანზე მართვა/ყოფნა;

- საომარი მოქმედებები, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა, დაპყრობა, სამოქალაქო ომი, მასობრივი არეულობა, აჯანყება, დიქტატორული რეჟიმი, საგანგებო მდგომარეობა, ტერორიზმი ან მისი ნებისმიერი გამოვლინება, ასევე, სხვა ფორს-მაჟორული გარემოებები;
- ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე;
- ავტომობილის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირება საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით (გარდა ლაფეტით გადაზიდვისა), მისი ჩატვირთვა და გადმოტვირთვა.

6. ზოგადი დებულებების სექცია

6.1. გონივრული სიფრთხილე

თქვენ ვალდებული ხართ გამოიყენოთ ავტომობილი მხოლოდ პოლისში მითითებული დანიშნულებით, დაიცვათ ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები და მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაფარული ავტომობილის დაზიანება პოლისით გათვალისწინებული მთლიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

6.2 პრემიის გადახდა

6.2.1. პრემიის გადახდის პერიოდულობა, ვადები და სხვა არსებითი პირობები განისაზღვრება პოლისის გაფორმებისას და მიეთითება პოლისშივე;

6.2.2. პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ გაძლევთ გადახდის ორკვირიან დამატებით ვადას. თუ ამ ორკვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, ჩვენ ვთავისუფლდებით ანაზღაურების ვალდებულებისგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება.

6.3. დაზღვევის ხელშეკრულება

6.3.1. დაზღვევის ძალაში შესასვლელად, აუცილებელია პირველი თვის პრემიის სრულად გადახდა და ავტომობილის სურათების მზღვეველისთვის მიწოდება;

6.3.2. სადაზღვევო პოლისის გაცემა ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას. მხოლოდ პოლისის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩვენ წარმოგვექმნეს ზარალის ანაზღაურების ვალდებულება;

6.3.3. დაზღვევის პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო დაფარვის პირობებში რაიმე ცვლილების შეტანის შემთხვევაში ამგვარი ცვლილებები უნდა აისახოს პოლისში ან მის დანართში, ხოლო პოლისსა და დაზღვევის პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა პოლისს მიენიჭება.

6.4. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

6.4.1. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გაგაცნოთ წინამდებარე დაზღვევის პირობები;

6.4.2. ავტომობილის გასხვისებისას აუცილებელია დაუყოვნებლივ წერილობით გვაცნობოთ გასხვისების ფაქტის შესახებ, ასევე, ახალი მფლობელის/ მესაკუთრის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასხვისების ფაქტიდან 2 (ორი) კვირის გასვლის შემდეგ, ჩვენ ვთავისუფლდებით ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან;

6.4.3. თქვენ ვალდებული ხართ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციისა, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ვერ მიიღებთ ჩვენს მიერ თქვენთან გამოგზავნილ ნებისმიერ კორესპონდენციას/შეტყობინებას, ვინაიდან იგი იქნება გაგზავნილი თქვენს მიერ ადრე მითითებულ მისამართზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ ჩავთვლით, რომ ეს კორესპონდენცია/შეტყობინება თქვენს მიერ არის მიღებული. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც თქვენს მიერ მითითებული მისამართი არის არასწორი ან შეიცავს ხარვეზებს.

6.5. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა

6.5.1. თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პოლისი გაიცემა ერთი წლის ვადით;

6.5.2. დაზღვევა შედის ძალაში სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღის პირველი დღის 24 საათიდან და მოქმედებს პოლისით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, ჩვენ არ დავფარავთ იმ სადაზღვევო შემთხვევებს, რომლებიც მოხდება თქვენს მიერ პირველი თვის საპრემიო შესატანის გადახდამდე, ხოლო, თუ სადაზღვევო პოლისი მრავალწლიანია, როგორც პირველი წლის, ისე ყოველი მომდევნო წლის პირველი თვის პრემიის გადახდამდე.

6.6. დაზღვევის/პოლისის შეწყვეტა

6.6.1. დამატებითი ვადის მიცემის, გაფრთხილებისა და წერილობითი შეტყობინების გარეშე დაზღვევის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე შემდეგ გარემოებებში:

6.6.1.1. I და II სექციების სადაზღვევო ლიმიტების ამოწურვისას;

6.6.1.2. თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაქრება სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის შესაძლებლობა და რაიმე გარემოების გამო (სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის გარდა) დაფარული რისკი აღარ იარსებებს;

6.6.1.3. თუ თქვენს მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულია დაფარული რისკის ზრდა.

6.6.2. დაზღვევის მოქმედება შეიძლება შეწყდეს თქვენს ან ჩვენს მიერ შესაბამისი შეტყობინების ერთი თვით ადრე გაგზავნის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ გამომუშავებულ პრემიას, თუმცა, პოლისის მოქმედების პერიოდში ჩვენს მიერ ნებისმიერი სადაზღვევო გასაცემის გაცემის შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო პრემიის განვადებით გადახდისას, გამოუმუშავებელი პრემია თქვენ უნდა სრულად დაფაროთ.

6.7. სადაზღვევო აქტი

მზღვეველის მიერ შედგენილ სადაზღვევო აქტს ხელს აწერს როგორც მზღვეველი, ისე დამზღვევი და მოსარგებლე.

მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო გასაცემის გაცემის საფუძველს. დამზღვევის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერამდე მზღვეველი უფლებამოსილია, არ გასცეს სადაზღვევო გასაცემი.

6.8. თქვენი ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

თქვენ ვალდებული ხართ:

6.8.1. დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია და დაგვიკავშირდეთ პოლისში მითითებულ ნომერზე; მიიღოთ ყველა ზომა, რათა პატრულის და ჩვენი წარმომადგენლის მოსვლამდე შენარჩუნებულ იქნას ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის სურათი;

6.8.2. რამდენადაც გავცემთ სადაზღვევო გასაცემს, სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებში ჩვენზე სრულად გადმოდის ის მოთხოვნის უფლება, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ. თქვენ ვალდებული ხართ მიიღოთ ყველა ზომა, რათა დაიცვათ ჩვენთვის ამგვარად მონიჭებული უფლება და იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მიზეზით ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ამ უფლებით, ჩვენ უფლებამოსილნი გავხდებით, უარი განვაცხადოთ სადაზღვევო ანაზღაურებაზე, ხოლო, თუ სადაზღვევო გასაცემი უკვე გაცემული იქნება, უკან მოვითხოვოთ სადაზღვევო ანაზღაურების თანხის დაბრუნება;

6.8.3. მოგვაწოდოთ კომპეტენტური ორგანოების მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი;

6.8.4. თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში, გაგვიწიოთ დახმარება სადაზღვევო შემთხვევის მიზეზებისა და შედეგების დადგენაში;

6.8.5. მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 3 დღის განმავლობაში;

ბ) დაფარული ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა;

გ) იმ პირის მართვის მოწმობა, რომელიც მართავდა დაფარულ ავტომობილს სადაზღვევო შემთხვევის მომენტში;

დ) ცნობა საპატრულო პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);

ე) წერილობითი მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე;

ვ) საბანკო რეკვიზიტები;

ზ) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ქვემოთ განსაზღვრული ყველა სხვა აუცილებელი საბუთი;

თ) ცნობა მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის თაობაზე (ალკოტესტი ან/და შესაბამისი ექსპერტის დასკვნა);

6.8.6. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად, მიიღოთ ყველა შესაძლო და მიზანშეწონილი ზომა ავტომობილის გადასარჩენად, შემდგომი დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად. ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ ჩვენი ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია;

6.8.7. არ დაიწყოთ ავტომობილის შეკეთება, სანამ ჩვენი წარმომადგენელი არ დაათვალიერებს ავტომობილს და ჩვენგან არ მიიღებთ შესაბამის წერილობით დასტურს შეკეთების დაწყებაზე;

6.8.8. დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და ზარალის მოცულობის განსაზღვრის მიზნით მოგვცეთ საშუალება ჩავატაროთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა;

6.8.9. სისტემატურად შეგვატყობინოთ შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევის შესახებ და, აგრეთვე, მიიღოთ მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში;

6.8.10. მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, ჩვენ მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;

6.8.11. საჭიროების შემთხვევაში გადმოგვცეთ ჩვენ ან ჩვენ მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:

ა) წარმოგადგინოთ თქვენ/დაფარული მძღოლი სასამართლო პროცესში ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით;

ბ) ვაწარმოოთ მოლაპარაკებანი დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან;

6.8.12. ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროთ დაზარალებული მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოთ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება, არ აანაზღაუროთ მიყენებული ზიანი და არ აწარმოოთ მოლაპარაკება ან შეთანხმება აღნიშნულ პირებთან;

6.8.13. მოგვაწოდოთ შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:

ა) თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია ავტოსაგზაო შემთხვევასთან;

ბ) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;

გ) ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის სიკვდილის შემთხვევაში);

დ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;

ე) სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელი გადახდების ოდენობას;

ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც დაფიქსირებულია თქვენ მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი;

6.8.14. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოვითხოვოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები ან კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით შევამციროთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, ხსენებული წარმოადგენს მხოლოდ ჩვენს უფლებამოსილებას.

6.9. სადაზღვევო გასაცემი

6.9.1. სადაზღვევო გასაცემის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ I/II სექციებში განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა ნაკლებია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტისათვის არსებულ შესაბამის ნარჩენ სადაზღვევო ლიმიტზე, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ გამოვქვითოთ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობიდან სადაზღვევო გასაცემის გაცემის მომენტისათვის არსებული პრემიის დავალიანება;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ I/II სექციებში განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა ტოლია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტისათვის არსებული შესაბამისი ნარჩენი სადაზღვევო ლიმიტის, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ გამოვქვითოთ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობიდან, როგორც სადაზღვევო გასაცემის გაცემის მომენტისათვის არსებული პრემიის დავალიანება, ასევე დარჩენილი დაზღვევის პერიოდისთვის თქვენს მიერ ჩვენთვის გადასახდელი სადაზღვევო პრემია;

6.9.2. ჩვენ გავცემთ სადაზღვევო გასაცემს ჩვენს მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო ვადაში, თუ ადგილი არა აქვს გაცემის გადადებას, როგორც ამას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს;

6.9.3. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ ავარიის ფაქტთან დაკავშირებით დაფარული მძღოლის, დამზღვევის, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

6.9.4. I სექციის ფარგლებში სადაზღვევო გასაცემი, ჩვენი გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია გაიცეს როგორც მოსარგებლეზე ან დაზარალებულზე, ასევე დაზიანებული ავტომობილის შეკეთების/აღდგენის მომსახურების მომწოდებელთან პირდაპირი ანგარიშსწორების გზით (მზღვეველსა და დამზღვევს შორის შეთანხმების საფუძველზე).

6.10. უარი ზარალის ანაზღაურებაზე

ჩვენ შეგვიძლია უარი განვაცხადოთ ზარალის ანაზღაურებაზე თუ:

6.10.1. დაზარალებულმა განზრახ ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენასთან;

6.10.2. თქვენ არ შეასრულეთ თქვენზე ამ სადაზღვევო პირობებით დაკისრებული ვალდებულებები;

6.10.3. არ მოგვაწოდეთ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადაში, რომელიც შეთანხმებულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა ჩვენი ინტერესები;

6.10.4. თქვენ მიერ წარმოდგენილი რისკის შეფასების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები) არის წინასწარი შეცნობით არაზუსტი ან ყალბი;

6.10.5. თქვენ უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ ჩვენი კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებაში;

6.10.6. თქვენ არ წარმოგვიდგინეთ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;

6.10.7. თქვენ უარი განაცხადეთ იმ საბუთების ჩვენთვის გადმოცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანზე პასუხისმგებელი პირისთვის ჩვენს მიერ მოთხოვნის წასაყენებლად;

6.10.8. თქვენ ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან აანაზღაურეთ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;

6.10.9. თქვენ არ დაარეგისტრირეთ შემთხვევა საპატრულო პოლიციაში;

6.10.10. თქვენ გადააცილეთ პრემიის გადაუხდელობის გამო ჩვენს მიერ დადგენილ ორკვირიან ვადას;

6.10.11. ზარალის ანაზღაურებაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება ამის დასაბუთებული მიზეზები.

6.11. დავების განხილვის წესი

ამ პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით დავის/უთანხმოების არსებობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ "სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის" (ს/კ 204878481)"დაზღვევის მედიაციას" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. "დაზღვევის მედიაციის" მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავთ სასამართლოს.

6.12. კონფიდენციალურობა

6.12.1. თქვენ და ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება, თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში;

6.12.2. ჩვენ ვალდებული ვართ სათანადოდ დავიცვათ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა, თქვენი თანხმობით, სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის; ამასთან, ჩვენ უფლებამოსილი ვართ დავამუშაოთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებისათვის და თქვენ მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მესამე პირთათვის გადაცემის გზით, ჩვენი ინტერესების დაცვისათვის და დავამუშაოთ თქვენი პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

6.13. ინფორმაციის მიწოდება

დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გაეგზავნება ფაქსით, ან ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის/რეკვიზიტების მიხედვით. შესაძლებელია დამზღვევს შეტყობინება გაეგზავნოს მოკლე ტექსტური ან ელექტრონული შეტყობინების სახითაც. დამზღვევის შემთხვევაში მისი რეკვიზიტების მითითება ხდება დაზღვევის პოლისში. მისამართის/ ადგილსამყოფელისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.